საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/8 " 2 " მარტი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 3 თებერვალს №06-662 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა ტყიბულის მაგისტრატი სასამართლოს შენობის რეაბილიტაციის განხორციელებაზე. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული შენობის სახურავი დაზიანდა 2021 წლის 5 იანვარს ძლიერი ქარის გამო და საჭიროებს საფუძვლიან რეაბილიტაციას, რისი ღირებულებაც სახურავის დაზიანებების აღწერის მიხედვით შეადგენს 12 100 ლარს. ამასთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი